

## პროგრამის გუნდი

მაია ბუწაშვილი, ჯანმრთელობის კვლევის კავშირის დირექტორი

*სწავლების სფერო - კვლევის დიზაინი, ეპიდემიოლოგია, სამეცნიერო კვლევის მონაცემთა ანალიზი*

აქვს 15 წლიანი გამოცდილება საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ეპიდემიოლოგიაში, კლინიკურ მედიცინაში და სამეცნიერო კვლევებში. 2011 წელს დაიცვა დოქტორის ხარისხი ეპიდემიოლოგიაში ნიუ იორკის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლაში. 2000 წელს იმავე უნივერსიტეტში მიიღო ეპიდემიოლოგიის მაგისტრის ხარისხი. 1993 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.

2012-2013 წლებში მუშაობდა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილედ. 2008 წლიდან ასწავლის ეპიდემიოლოგიის საფუძვლებს, ინფექციური დაავადებების ეპიდემიოლოგიას და ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის ინტეგრირებულ მეთოდებს.

*მაია ბუწაშვილი სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა შემდეგ სამეცნიერო და გამოყენებით პროექტებს:*

სისხლის გზით გადამდები დაავადებების გავრცელება და ცოდნა ქართველ ჯანდაცვის მუშაკებში (CRDF); საქართველოში C ჰეპატიტის კლინიკური მიმდინარეობის იმუნოგენეტიკური, ვირუსული და ქცევითი რისკ ფაქტორების კვლევის განვითარება (ANRS); იმუნოგენეტიკური ფაქტორების გავლენა C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციის მიმდინარეობაზე (ეროვნული სამეცნიერო ფონდი); პაპილომა ვირუსული ინფექციის (HPV) ეპიდემიოლოგია საქართველოში (ეროვნული სამეცნიერო ფონდი); ვირუსული პათოგენების როლი სისტემური ინფექციების დროს ახალშობილებში საქართველოს რეანიმაციულ განყოფილებებში (ფოგარტის საერთაშორისო ცენტრი, NIH); აივ ინფექციის დედიდან ბავშვზე გადაცემის პრევენცია საქართველოში (ელიზაბეტ გლეიზერის პედიატრიული შიდსის ფონდი); აივ ინფექციის გადაცემის გზების კვლევა და მონაცემთა ტრიანგულაცია (UNICEF) და ა.შ.

მაია ბუწაშვილი არის ასევე პრაქტიკოსი ექიმი ინფექციონისტი. კლინიკური სტაჟირება გავლილი აქვს პარიზში, პიტე-სალპეტრიერის კლინიკაში. იგი არის რამდენიმე მონოგრაფიის და 32 სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი.

## გიორგი კამკამიძე

### *სწავლების სფერო- ბიოსტატისტიკა, სტატისტიკური პროგრამები და მონაცემთა ანალიზი*

გიორგი კამკამიძე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) ასოცირებული პროფესორია, ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის კვლევის კავშირის ბიოსტატისტიკის მიმართულებას. იგი ამავე დროს არის კლინიკა „ნეოლაბის“ და მოლეკულური მედიცინის ასოციაციის დირექტორი. მისი სამეცნიერო მუშაობის ინტერესს პერსისტული ვირუსული ინფექციების (აივ ინფექცია, ვირუსული ჰეპატიტები, ჰერპესვირუსები, პაპილომავირუსები და სხვ.) განვითარების მოლეკულური, იმუნოგენეტიკური და სხვა ფაქტორების შესწავლა წარმოადგენს. გ.კამკამიძის აკადემიური მუშაობა ფოკუსირებულია მიკრობიოლოგია/იმუნოლოგიისა სწავლებაზე ბაკალავრიატის დონეზე და ბიოსტატისტიკისა და მონაცემთა რაოდენობრივი ანალიზის მეთოდების სწავლებაზე მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დონეზე. იგი ამჟამად ხელმძღვანელობს ბიოსტატისტიკის მიმართულებას თსსუ-ს საზოგადოებრივი ჯანდაცვის საერთაშორისო სკოლაში.

სამედიცინო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1994-96 წლებში, გიორგი კამკამიძე მუშაობდა ექიმ ალერგოლოგ/იმუნოლოგად ბავშვთა რეაბილიტაციის რესპუბლიკურ ცენტრში. 1997-2002 წლებში გიორგი კამკამიძე ხელმძღვანელობდა კლინიკური იმუნოლოგიისა და მოლეკულური მედიცინის ლაბორატორიას საქართველოს შიდასისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში. 1998-2000 წლებში გიორგი კამკამიძემ გაიარა სამეცნიერო სტაჟირება ნიუ იორკის უნივერსიტეტის ვუდსვორსის ლაბორატორიული კვლევის ცენტრში შიდასის და ვირუსული ჰეპატიტების ვირუსოლოგიური კვლევებისა და გენოტიპირების მიმართულებით. 2000-2001 წლებში იგი გადიოდა სტაჟირებას პარიზის პიტე-სალპეტრიერის საავადმყოფოთა ქსელის იმუნოლოგიის ლაბორატორიაში. 2005 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია იმუნოლოგიის დარგში. 2006-2009 წლებში გაიარა მაგისტრატურის კურსი ბიომეტრიის და სტატისტიკის განხრით ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქ. ოლბანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლაში და 2009 წელს მას მიენიჭა აღნიშნული უნივერსიტეტის მაგისტრის წოდება ბიოსტატისტიკაში.

გიორგი კამკამიძე არის კლინიკური ვიროლოგიის პან-ამერიკული საზოგადოების, შიდასის საერთაშორისო საზოგადოების, ევროპის შიდასის კლინიკური საზოგადოების, ამერიკის მიკრობიოლოგიის ასოციაციისა და მოლეკულური მედიცინის ასოციაციის წევრი.

## ნატა ავალიანი

### *სწავლების სფერო - საჯარო პოლიტიკა და ანალიზი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება*

ნატა ავალიანი ჯანდაცვის ექსპერტია, მას 15 წლიანი გამოცდილება აქვს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ჯანდაცვის პოლიტიკის, პროექტის მენეჯმენტისა და საჯარო ადმინისტრირების კუთხით. ამჟამად იგი ჯანმრთელობის კვლევის კავშირის თანამშრომელია. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სპეციალობით ექიმი-თერაპევტი და ნიდერლანდების საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა ხარისხით – საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მაგისტრი.

2010-2012 წლებში იგი დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი იყო. აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობისას ნატა ხელმძღვანელობდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას და ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების განვითარებას, ადმინისტრირებას უწევდა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ყველა აქტივობას სახელმწიფო პროგრამებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში. 2002-2009 წლებში იგი ხელმძღვანელობდა ამერიკის საერთაშორისო ჯანდაცვის კავშირის (AIHA) კავკასიის რეგიონულ ოფისს, რომლის ფარგლებში განხორციელდა 25-ზე მეტი ჯანდაცვის პროექტი საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

1998-1999 წლებში, მუშაობდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ, 2001-2011 წლებში, ნატა ავალიანი ევროსაბჭოს ჯანდაცვის ექსპერტთა კომიტეტების წევრი იყო და რეგულარულად მონაწილეობდა ევროსაბჭოს ჯანდაცვის დეპარტამენტის მიერ ინიცირებულ საექსპერტო საქმიანობაში. 2008 წლიდან იგი ჩართულია აკადემიურ საქმიანობაში. მონაწილეობდა რამდენიმე უნივერსიტეტში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის ადმინისტრირების პროგრამების ჩამოყალიბებაში.

2009 წლიდან იგი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მოწვეული პროფესორია, ხელმძღვანელობს ჯანდაცვის პოლიტიკისა და ადმინისტრირების და საჯარო პო-ლიტიკის ანალიზის პროგრამებს. უკანასკნელ წლებში ნატა ავალიანი აგრეთვე აწარმოებს საკონსულტაციო საქმიანობას ჯანდაცვის სხვადასხვა მიმართულებით, როგორცაა სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება, შეფასებითი და კვლევით საქმიანობა. ნატა მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის თანაავტორია.

## ლელა სერებრიაკოვა

### *სწავლების სფერო -- ჯანდაცვის ეკონომიკა, ეკონომიკური შეფასება*

ლელას 7 წლიანი გამოცდილება აქვს ჯანდაცვის დაფინანსების სფეროში როგორც საერთაშორისო პროექტების ფარგლებში, ისე სახელმწიფო სექტორში. 2010 წელს მიიღო ჯანდაცვის სისტემებისა და საჯარო პოლიტიკის მაგისტრის ხარისხი ედინბურგის უნივერსიტეტის საერთაშორისო ჯანმრთელობის სკოლაში ეკონომიკასა და ეკონომიკური შეფასების კონცენტრაციით. ასევე აქვს გავლილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის კურსი სოციალურ ფსიქოლოგიაში და ასოცირებული ხარისხი ლინკოლნის კოლეჯში აშშ-ში.

2011-2013 წლებში ლელა იყო საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ჯანდაცვის პროგრამების სამმართველოს უფროსი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში და ხელმძღვანელობდა სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების დაგეგმარებისა და ბიუჯეტირების პროცესებს. 2006-2010 წლებში ლელა მუშაობდა საქართველოში აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ერთ-ერთ წამყვან პროექტში "კორეფორმი", როგორც წამყვანი ამერიკული საკონსულტაციო ორგანიზაციის Abt Associates Inc.-ის თანამშრომელი. პროექტში ის ასრულებდა პროექტის დირექტორის მოვალეობას და ასევე ხელმძღვანელობდა რამოდენიმე ტექნიკურ მიმართულებას ჯანდაცვის რეგულირებისა და დაფინანსების კუთხით. ამ პროექტის ფარგლებში დაფუძნდა სამედიცინო მედიაციის სამსახური, საქართველოში დღემდე ერთადერთი სტრუქტურა, რომელიც იცავს დაზღვეულთა, მზღვეველთა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა უფლებებებს სადაზღვევო ურთიერთობებში. ლელა უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ სტრუქტურის კონცეფციის, სამუშაო რეგულაციების შემუშავებას და მისი დაფინანსების, მონიტორინგის და შეფასების სამუშაოებს 2 წლის განმავლობაში. ის ასევე მუშაობდა სამედიცინო დაწესებულებების რეგულირების, აკრედიტაციის და ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაციული მოწყობის საკითხებზე. ამჟამად ლელა თანამშრომლობს ჯანმრთელობის კვლევით კავშირთან პროექტის ტრენერის პოზიციაზე.

## მაია ქაჯაია

### *სწავლების სფერო - რაოდენობრივი კვლევის მეთოდები*

მაია ქაჯაია ჯანმრთელობის კვლევის კავშირის ეპიდემიოლოგიის და საგანმანათლებლო განყოფილების ხელმძღვანელია. 1998 წელს დაამთავრა უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტი“ ზოგადი თერაპიის სპეციალობით. 2004 წელს დაამთავრა ნიუ იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ეპიდემიოლოგიის სამაგისტრო კურსი. სწავლის პერიოდში მაია ჩართული იყო ერთწლიანი პრაქტიკის პროექტში ქალთა ჯანმრთელობის ნიუ იორკის კომიტეტში ქალაქ ოლბანიში. მოცემული პროგრამის ფარგლებში მაია მონაწილეობდა შიდსის ტესტირებისა და კონსულტირების პროგრამაში ნიუ იორკში მცხოვრები ქალებისათვის. ამჟამად მაია ჯანმრთელობის კვლევის კავშირის ეპიდემიოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელია. მას დიდი გამოცდილება აქვს სხვადასხვა პროექტების მართვაში, რომლებიც ჯანმრთელობის კვლევის კავშირში განხორციელდა.

მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა შემდეგი პროექტები: USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი საგანმანათლებლო ინტერვენცია ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ სკოლის მოსწავლეებში (აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული საქართველოში აივ პრევენციის პროექტი); იუსტიციის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი- ცხოვრების ჯანსაღი წესის პრომოცია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისათვის. მაია რამდენიმე სამეცნიერო პროექტის ავტორია. ბოლო 5 წლის განმავლობაში ის ადგილობრივი ეთიკის კომიტეტის წევრია ბიომედიცინის პროგრამებში, რომელთაც ჯანმრთელობის კვლევის კავშირი და სხვა კვლევითი ორგანიზაციები ახორციელებენ. 2011-2012 წლებში მაია ქაჯაია იყო კოსულტანტი პროექტში : „აივ ინფექციის გადაცემის გზების კვლევა და მონაცემთა ტრიანგულაცია“.

## ხათუნა ხატიაშვილი

### *სწავლების სფერო - ხარისხობრივი კვლევის მეთოდები*

ხათუნა ხატიაშვილი სამედიცინო განათლების მიღების შემდეგ სწავლა გააგრძელა ფსიქოლოგიის განხრით. 2005 წელს მან დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია ფსიქოლოგიის კვლევით ინსტიტუტში სპეციალობით კლინიკური, ზოგადი და გამოყენებითი ფსიქოლოგია. მისი სადიპლომო ნაშრომი იყო „დეპრესიული რეალიზმი“. 2009 წელს გახდა ფოგარტის პროგრამის სტიპენდიანტი ემორის უნივერსიტეტის შიდსის საერთაშორისო კვლევის პროგრამაში. 2011 წელს ხათუნამ წარმატებით დაამთავრა ემორის უნივერსიტეტის როლინსის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა ქცევითი ცვლილებებისა და ჯანმრთელობის განათლების სპეციალობით. აღნიშნული პროგრამა კარგი გამოცდილება იყო საგრანტო განაცხადის მომზადების, პროგრამების მენეჯმენტისა და შეფასების კუთხით.

2007 წლიდან იყო ფსიქოლოგ-კონსულტანტი არასამთავრობო ორგანიზაცია „იმედში“ პროექტში „შიდსის ზიანის შემცირება ინტრავენური წამლის მომხმარებლებში“. მისი ფსიქოლოგიური პრაქტიკის დროს ხათუნა მუშაობდა სხვადასხვა ტიპის პიროვნების ტიპებთან, რომელთაც საკმაოდ მძიმე ემოციური და ფიზიკური პრობლემები ჰქონდათ, ისეთი როგორცაა: წამალზე დამოკიდებულება, ალკოჰოლიზმი, შიდსი, მათ შორის ბევრი ძალადობის მსხვერპლიც იყო. ზემოთაღნიშნულმა გამოცდილებამ მნიშვნელოვნად იქონია ზეგავლენა ხათუნა ხატიაშვილის სამომავლო მიმართულებაზე. ხათუნას სადიპლომო ნაშრომს წარმოადგენდა შიდსის, ცეპეპატიტის და წამალდამოკიდებულების პრობლემების საგანმანათლებლო სახელმძღვანელო ქართული მოზარდებისათვის.

2012 წლიდან ხათუნა ხატიაშვილი მუშაობდა მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში ონკოპედატოლოგიისა და ნევროლოგიის დეპარტამენტში, ხოლო 2013 წლის აპრილიდან არასამთავრობო ორგანიზაციაში welfare foundation, სადაც ახორციელებდა შემდეგ პროექტებს: დიაბეტის პრევენციისა და მკურნალობის გაუმჯობესება და ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამა საქართველოში: უნივერსალური ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბების მთავარი გამოწვევები. 2013 წლის ნოემბრიდან ის თანამშრომლობს ჯანმრთელობის კვლევით კავშირთან, სადაც მონაწილეობს საუნივერსიტეტო კვლევის პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტში სამეცნიერო და წერიტი უნარ-ჩვევების გაუმჯობესება საქართველოს ახალგაზრდა აკადემიური პერსონალისთვის.

## მარია კოჭლამაზაშვილი

### ტრენინგის ორგანიზატორი

მარია ჯანმრთელობის კვლევის კავშირში მუშაობს ეპიდემიოლოგად/ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტად. იგი არის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, საერთაშორისო საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის მაგისტრი. 2009 წელს გახდა ფოგარტის საერთაშორისო პროგრამის სტიპენდიანტი, ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევის პროგრამაში. ამ პროგრამის ფარგლებში, ერთი სემესტრი გაიარა ოლბანის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლაში. 2009 წელს მან დაასრულა ეპიდემიოლოგიისა და სტატისტიკის საზაფხულო ინსტიტუტი ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ბლუმბერგის ჯანდაცვის სკოლაში. იგი მონაწილეობას ღებულობს თანასწორთა განათლების პროგრამებში, რომელთა მიზანია ცხოვრების ჯანსაღი წესის პრომოცია ახალგაზრდებში ისეთ თემებზე, როგორცაა: რეპროდუქციული ჯანმრთელობა, აივ/შიდსი, თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების უარყოფითი გავლენა ორგანიზმზე.

მას აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროექტების ორგანიზების ფართო გამოცდილება. არის პროექტის ხელმძღვანელი „სისხლის გზით გადამდები ინფექციების რისკ ფაქტორების შეფასება საქართველოს სტომატოლოგიურ დაწესებულებაში დასაქმებულ ჯანდაცვის მუშაკებში“. იგი მონაწილეობას ღებულობს ჯანმრთელობის კვლევის კავშირის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროექტში, რომელიც ფინანსდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, გაეროს ბავშვთა ფონდის, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის და სხვების მიერ.

## თინათინ აბზიანიძე

### *ტრენინგის ორგანიზატორი*

2007 წელს დაამთავრა სამედიცინო უნივერსიტეტი, ხოლო 2010 წელს მიიღო ჯანდაცვის მაგისტრის წოდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის საერთაშორისო სკოლაში. 2011 წელს თინათინი გახდა ფოგარტის საერთაშორისო პროგრამის სტიპენდიანტი, ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევის პროგრამაში. ამ პროგრამის ერთი სემესტრი გაიარა ოლბანის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლაში. 2007 წლიდან მუშაობს ჯანმრთელობის კვლევის კავშირში, სადაც მონაწილეობას იღებს კავშირის მიერ განხორციელებულ კვლევებში, მათ შორისაა: ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო გავითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული ტუბერკულოზის პრევენციის კვლევის პროექტი საქართველოში, საფრანგეთის შიდსის კვლევის ეროვნული სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტი „აივ ინფექცია/შიდსი, წყვილებზე ორიენტირებული კონსულტირების შედეგები დაბალი და საშუალო გავრცელების ქვეყნებში“, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი – „ადამიანის პაპილომავირუსის ეპიდემიოლოგია საქართველოში, ასევე საერთაშორისო პროექტებში, როგორც თანასწორ განმანათლებელი ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის საკითხებში. ამჟამად ჯანმრთელობის კვლევის კავშირში მუშაობის პარალელურად ასრულებს სამედიცინო ლაბორატორია „ნეოლაბის“ მენეჯერის ფუნქციებს.



## აშშ-ს გუნდი

### ქეთევან გენძეხაძე

ჰისტოშეთავსებადობის ლაბორატორიის კო-დირექტორი (City of hope, კალიფორნია, აშშ), პროფესიით იმუნოლოგი, 1995 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და შემდგომ სწავლა განაგრძო ვენესუელის კვლევით ინსტიტუტში იმუნოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც 2000 წელს აიღო მაგისტრის დიპლომი და ამავე უნივერსიტეტში 2004 წელს მიიღო დოქტორის წოდება. ქეთევანი მრავალი კვლევითი პუბლიკაციის ავტორია იმუნოლოგიის სფეროში. ვენესუელაში სადოქტორო სწავლების პერიოდში ის ჩართული იყო კვლევით პროექტებში, რომელთა შორის არის: „ციტოტოქსიური T ლიმფოციტის 4 ანტიგენის და ციტოკინის პოლიმორფიზმი თირკმლის ტრანსპლანტის მქონე პაციენტებში“, „ციტოტოქსიური T ლიმფოციტის 4 ანტიგენთან ტრანსფეცირებული მულტიაგრეგატული ჰეპატოციტების სფეროიდები ჰეპატოცელულარულ ტრანსპლანტში“, „კირ-ანტიგენების მრავალფეროვნება“, „კირ-ანტიგენები ციტომეგალოვირუსის დროს“. 1999 წლიდან მუშაობდა მკვლევარად – ვენესუელის ცენტრალური უნივერსიტეტის კვლევითი ქირურგიის ლაბორატორიაში. 2002-2003 წლებში ქალაქ მიუნჰენის ლუდვიგ მაქსიმილიანის სახელობის უნივერსიტეტის ადამიანის ლეიკოციტის ანტიგენის კვლევის ლაბორატორიაში გაიწვი ინტერნატურა. ხოლო 2004-2009 წლებში პოსტდოქტორალური კურსი გაიარა კალიფორნიის სტენფორდის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლაში, სადაც დღემდე მუშაობს როგორც ტრენინგის ასოცირებული დირექტორი.

## დეილ მორსი

დეილ მორსი, აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრის სურსათის უვნებლობის, საკვებისმიერი, წყლისმიერი დაავადებებისა და გარემოს დაცვის ოფისის ასოცირებული დირექტორია. დაამთავრა როჩესტერის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლა, შემდეგ კი ეპიდემიოლოგიის მაგისტრატურა ჰარვარდის ჯანდაცვის სკოლაში. 2011 წელს დეილ მორსი დაავადებათა კონტროლის ცენტრის გარემოს უსაფრთხოების დეპარტამენტში დაბრუნდა ნიუ იორკის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტში 30 წლიანი გამოცდილების შემდგომ. ნიუ-იორკში მუშაობისას მან მრავალმხრივი გამოცდილება მიიღო, ხელმძღვანელობდა სხვადასხვა ეპიდემიოლოგიურ პროექტებს და ლაბორატორიულ კომპეტენციებს, 12 წელი იყო შტატის წამყვანი ეპიდემიოლოგი. აგრეთვე ამ პერიოდის განმავლობაში მუშაობდა ვუდსვორსის ცენტრის ინფექციური პათოლოგიის დეპარტამენტის დირექტორად, ოლბანის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლის პროფესორად. დეილ მორსი ტერიტორიულ ეპიდემიოლოგთა სახელმწიფო საბჭოს ყოფილი პრეზიდენტია და აღნიშნული თანამდებობის ფარგლებში 1995 წელს მან გამოყენებითი ეპიდემიოლოგიის სფეროში განსაკუთრებული მიღწევებისათვის საპატიო ჯილდო მიიღო, ხოლო 2003 წელს ოლბანის უნივერსიტეტის მიერ დაჯილდოვდა სამეცნიერო კვლევებში მიღწეული წარმატებებისათვის. დეილ მორსი იყო ასევე დაავადებათა კონტროლის ცენტრის იმუნოზაციის პრაქტიკის მიმართულების მრჩეველი, ცენტრის ინფექციურ დაავადებათა საბჭოს წევრი, ეროვნული სურსათის უსაფრთხოების კომიტეტის, საკვებისა და წამლის ადმინისტრაციის, აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მრჩეველი სამეცნიერო მიმართულებით. მას დიდი გამოცდილება აქვს ინტერდისციპლინარული კვლევის და სასწავლო საგრანტო პროექტების მართვასა და კოორდინაციაში. იყო ნიუ იორკის შტატის ჯანმრთელობის დეპარტამენტის წამყვანი მკვლევარი დაავადებათა კონტროლის ცენტრის ტუბერკულოზის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, იმუნოზაციის, შიდსის, ახლად აღმოცენებული ინფექციების, ასთმის, ჯანდაცვის ინფორმატიკის, პანდემიური გრიპის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მზადყოფნის გრანტებში, აშშ-ს ეროვნული სამეცნიერო ფონდის და რობერტ ვუდ ჯონსონის სახელობის ჯანდაცვის პოლიტიკისა და ინფორმატიკის გრანტებში, ასევე ფოგარტის საერთაშორისო სწავლების პროგრამის გრანტებში. აქვს მნიშვნელოვანი საერთაშორისო გამოცდილება პან ამერიკული ჯანმრთელობის ორგანიზაციის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და დაავადებათა კონტროლის ცენტრის, ბრიტანეთის

დაავადებათა ეპიდზედამხედველობის ცენტრის კონსულტანტის თანამდებობებზე მუშაობის სახით. დეილ მორსმა მონაწილეობა მიიღო და დიდი დახმარება გაუწია აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის 13 ქვეყნის 130- მდე სტიპენდიატს. მას გამოქვეყნებული აქვს 140- ზე მეტი სტატია განსაკუთრებული აქცენტით საკვებისმიერ და იმუნურ დაავადებებზე და ასევე მრავალი ჟურნალის რეცენზენტია. თავისი კარიერული მოღვაწეობის განმავლობაში ჩართული იყო ნიუ ორკის შტატის საკვებისმიერ დაავადებათა ჯანდაცვის პოლიტიკის ყველა ასპექტში, მათ შორის დაავადებათა ეპიდზედამხედველობის, გარემოს დაცვის, პრევენციის და კონტროლის აქტივობებში, როგორც არის საკვებისმიერი დაავადებების ეპიდემიოლოგიური სახელმწიფო პროგრამის 16 წლიანი პირდაპირი და არაპირდაპირი მართვა. მას აქვს 11 წლიანი გამოცდილება, როგორც მთავარ მკვლევარს განსაკუთრებით საშიში ინფექციების საგრანტო პროექტებში, ასევე 4 წლიანი გამოცდილება ინფექციური დაავადებების ლაბორატორიის დირექტორად ვირუსული, ბაქტერიული და პარაზიტული საკვებისმიერი დაავადებების ტესტირების საკითხებში. დეილ მორსი 32 სტატის თანაავტორია საკვებისმიერ დაავადებათა (იერსინოზი, ჰეპატიტი, ნოროვირუსი, სალმონელური ენტერიტი, ბუტულიზმი, მუცლის ტიფი, ლისტერიოზი, ეშერიხია კოლი, კალიცივირუსი) საკითხებში. აღნიშნულმა კვლევებმა დიდი წვლილი შეიტანეს ეროვნული პოლიტიკის დანერგვასა ცვლილებების განხორციელებაში. 8 წელი იყო დაავადებათა კონტროლის ცენტრის ინფექციურ დაავადებათა საბჭოს წევრი, 6 წელი - სახელმწიფოს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის საკვების უსაფრთხოების და ინსპექციის სერვისის მეფრინველეობის და ხორცის პროდუქტების მრჩეველთა საბჭოს წევრი, 2 წელი - სახელმწიფო საკვების და წამლის ადმინისტრაციის მიკრობიოლოგიური კომიტეტის და ეროვნულ მრჩეველთა კომიტეტის საკონსულტაციო გუნდის წევრი.

## ლუიზ-ენ მაკნატი

ლუიზ-ენ მაკნატი, ეპიდემიოლოგიის დოქტორია. 1981 წელს მიიღო ბაკალავრის ხარისხი მათემატიკაში კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სწავლა განაგრძო ვირჯინიის სამედიცინო კოლეჯის ბიოსტატისტიკის მიმართულებით. 1983 მიიღო მაგისტრის წოდება ბიოსტატისტიკაში, შემდეგ სწავლა განაგრძო დოქტორანტურაში აიოვას სამედიცინო კოლეჯში, სადაც მიიღო დოქტორის წოდება პრევენციული მედიცინის და ეპიდემიოლოგიის მიმართულებით. ლუიზენ მაკნატი მრავალი პუბლიკაციის, წიგნის თავის და სამეცნიერო პროექტის ავტორია. მას მდიდარი პედაგოგიური გამოცდილება აქვს ეპიდემიოლოგიის, კომპიუტერული პროგრამირების და მონაცემთა ანალიზის, ეპიდემიოლოგიის რაოდენობრივი მეთოდების სწავლებაში.

1984-1985 წლებში ლუიზ-ენი ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სტატისტიკის კონსულტანტად და ლექტორად მუშაობდა. 1990 წელს გადავიდა ამერიკის ეროვნულ დაავადებათა ცენტრში ეპიდემიოლოგიის პროგრამის ოფიცრის თანამდებობაზე. 1995 წლიდან მუშაობს ნიუ ორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტში, სადაც 2002 წელს ასოცირებული პროფესორის წოდება მიიღო და 2007 წლიდან ზემოთაღნიშნული დეპარტამენტის ასოცირებული ხელმძღვანელია.

2008 წელს ლუიზ-ენი თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში ასწავლიდა ეპიდემიოლოგიას, როგორც ფულბრაიტის სტიპენდიანტი. 2007 წლიდან დღემდე ღია საზოგადოების ინსტიტუტის სტიპენდიანტია. 2012 წელს ყაზახეთის ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტის მოწვეულ პროფესორად მუშაობდა. 2011 წლიდან დღემდე ნიუ ორკის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ჯანმრთელობის და გარემოს დაცვის ინსტიტუტის ასოცირებული დირექტორია.

## ჯეისონ ფარლოუ

ჯეისონ ფარლოუ, პროფესიით მიკრობიოლოგია. 1996 წელს დაამთავრა ჩრდილოეთ არიზონას უნივერსიტეტი (აშშ). ამავე უნივერსიტეტში 2004 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. სადოქტორო კვლევა განახორციელა პაულ კეიმის გენეტიკურ ლაბორატორიაში, რომელიც ეხებოდა მაღალი გადაწყვეტის ხარისხის მოლეკულურ-გენეტიკური მეთოდების განვითარებას ბაქტერიული პათოგენების გამოვლენის და დახასიათების მიზნით. ჯეისონ ფარლოუ მრავალი პუბლიკაციის ავტორია, მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო საგრანტო პროექტში. ფარლოუ მთავარი მკვლევარი იყო ვირუსული ევოლუციის კვლევისა და ფრინველის გრიპის ვაქცინის შემუშავების პროექტში. 1999 წლიდან ჯეისონ ფარლოუ ასოცირებული მკვლევარის რანგში მუშაობდა ჩრდილოეთ არიზონას უნივერსიტეტში. ამავე უნივერსიტეტში ჯეისონი 2004 წლიდან ფაკულტეტის კვლევითი ცენტრის თანამშემწის პოზიციას ითავსებდა.

2009-2011 წლებში ჯეისონ ფარლოუ იყო მთავარი მკვლევარი ოუქ რიჯის მეცნიერებისა და განათლების ინსტიტუტის ვირუსული გენომიქსის მიმართულებით. ფარლოუ ამ პერიოდში ხელმძღვანელობდა სტუდენტებს მოლეკულურ-გენეტიკური ანალიზის განვითარების საკითხებში. სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის მანძილზე მან განახორციელა შემდეგი კვლევები: „პათოგენების ეკო-გენეტიკური და სივრცულ-გენეტიკური მოლეკულურ-ეპიდემიოლოგიური ანალიზი“, „ვირუსული და ბაქტერიული დაავადებების ზედამხედველობის პროექტი“, „მიკრობული პათოგენების მოლეკულური ანალიზის განვითარება, მიკრობიოლოგიური და ევოლუციურ/ფუნქციური გენომური ანალიზი“.

2011 წლიდან დღემდე ჯეისონ ფარლოუ მუშაობს თბილისში, ლუგარის ცენტრში. აღნიშნულ ლაბორატორიაში ის ხელმძღვანელობს სამეცნიერო პროექტებს დაავადებათა კვლევებისა და ბიოზედამხედველობის საკითხებში. ფარლოუ ანტივირუსული კვლევის საერთაშორისო საზოგადოებისა და ამერიკის მიკრობიოლოგიის საზოგადოების წევრია.

## დებორა მაკფარლანდი

დებორა მაკფარლანდი სტრატეგიული მართვისა და ეკონომიკის დოქტორი, ეკონომიკის და ჯანდაცვის პოლიტიკის მაგისტრი და ფილოსოფიის ბაკალავრია. ამჟამად იგი არის ემორის უნივერსიტეტის როლინსის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის გლობალური ჯანდაცვის და ჯანდაცვის პოლიტიკის და მართვის დეპარტამენტის პროფესორი. მისი სპეციალობაა საერთაშორისო ჯანდაცვის დაფინანსება და ჯანდაცვის პოლიტიკა. უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში, მაკფარლანდი ჩართული იყო ჯანდაცვის პოლიტიკის და ჯანდაცვის დაფინანსების საკითხებში. ამ პერიოდში მან განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა დაავადებათა კონტროლის პროგრამების, ჯანდაცვის სისტემებს, ეთიკის და ეკონომიკის რესურსებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრიორიტეტების მიმართ.

დებორამ გლობალური ჯანმრთელობის სფეროში კარიერა დაიწყო როგორც მშვიდობის კორპუსის მოხალისემ საზოგადოებრივი ჯანდაცვის, პოლიტიკური ეკონომიკის, ჯანდაცვის სისტემების, ჯანდაცვის ეკონომიკის მიმართულებით. აშშ-ში მუშაობის გარდა დებორა ინტენსიურად მოღვაწეობდა სამუშაო და დაბალი განვითარების მქონე ქვეყნებში. დებორა ასევე მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა სუბ-საჰარული აფრიკის 30-ზე მეტ ქვეყანაში. უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში დებორა პარალელურად მუშაობდა საქართველოში ჯანდაცვის სისტემების და ჯანდაცვის რეფორმის საკითხებზე. ამჟამად დებორა მოღვაწეობს კარტერის ცენტრში, მსოფლიო ბანკში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის და ბილ და მელინდა გეიტსის ფონდის პროექტებში, რომლებიც ეხება ეთიკისა და ეკონომიკის რესურსების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრიორიტეტების, განსაკუთრებით საშიში ტროპიკული დაავადებების პრევენციის და ჯანდაცვის სისტემების გაძლიერების საკითხებს.

იგი არის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ტროპიკული დაავადებების სამეცნიერო და ტექნიკური საკონსულტაციო ჯგუფის (STAG) წევრი, აფრიკის ჰელმინთოზის კონტროლის პროგრამის საკონსულტაციო კომიტეტსა (WHO/UNICEF) და „მექტიზანის ექსპერტთა კომიტეტის“ წევრი. მან მიიღო რობერტ ვუდს ჯონსონის ჯონ ჰოპკინსის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლის და ეროვნულ მმართველთა ასოციაციის სტიპენდია ჯანდაცვის პოლიტიკის და ფინანსირების სფეროში. იგი ფოვის სასწავლო სტიპენდიის პროგრამის დირექტორია. დებორა ასევე ღია საზოგადოების ფონდის საერთაშორისო მკვლევარია. ფონდის მიზანია საზოგადოებრივი ჯანდაცვის განათლების განვითარების ხელშეწყობა და გაძლიერება ადმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. დებორა მაკფარლანდს მიენიჭა უამრავი სწავლების ჯილდო, მათ შორის ყველაზე დიდი პატივია ემორის უნივერსიტეტში სწავლებისათვის ემორი უილიამსის ჯილდო.